შორს მულტი, შორითგან მოსული; შიშინ-ეული, მტკინ-ეული (ში-
შის, ტკიგილის მექონე); შარშანდ-ეული=შარშანდ-ული, მანდ-ეული,
ათერომეტ-ეული, ათცხრამეტ-ეული=ათცხრამეტ-ური, ათერომეტ-ური. აგრე

თემ: სირცხვილ-ეული, ბრალ-ეული, იმედ-ეული, შვიდ-ეული=ბრალ-იანი, იმედ-იანი და სხ. — რიცხვით შეი იხმარება განმატებელ ნაკვეთად: ერთ-ეული, თითო-ეული, ხუთ-ხუთ-ეული, შვიდ-ეული, ათ-ეული, ათას-ეული (განუენებული რიცხვებია ასეებითად ქცეულები).

სშირად მრთელი ნათესაობითი ბრუნვა მოუკეთელად რჩება ძირში და ამ გვარად ნაწარმოები სიტყვა აღნიშნავს ძირულის სახელით გამოსატულის პირისაგან რისამე მოპოვებულსა ანუ ბეჭედს პატ-რონს ნაზოვნისას გინა ნასყიდისას, ნაჩუქებისას, მოგებულისას, მაგ. მეფისა—მეფის-ეული=მეფისაგან ნაჩუქები (მეფის-ეული ცხენი), თომას-ეული (თომასაგან ნაყიდი), არწინუნ-ის-ეული სახლი, მღვდლ-ის-ეული. ნაცვალ-სახელთაგანაც იწარმოება: მე=ჩემ-ი (ნათესაობითია), აქითგან; ჩემ-ეული; იგი—მისი=მის-ეული, უნი—უნი=უნ-ეული; იგინი—მათ=მათ-ეული(მათ-ის-ეული), ეგე—ამის=ამის-ეული და სხვ. მაგრამ სიტყვები: მამ-ის-ეული, ღედ-ის-ეული შემოკლდება ეგრეთ: მამ-ე-ული=მამ-ული, ღედ-ის-ეული=ღედ-ეული=ღედ-ული; მამაპაპ-ის-ე-ული=მამაპაპ-ეული. (გარჩა: «მამ-ური», «ღედ-ური» ზედ შესრულია და სხვა მნიშვნელობისა).

§ 43 ნაკვეთი «სპ-ჯ—ისი»=საშვალ-საიარალო

აფნიშნავს იარაღსა, მოწყობილობას ანუ საზოგადოდ საშვალებას, საჭიროსა იმ მოქმედებისა შესასრულებულად, რომელიც გამოთქმულია ძირში მოყოლილის სიტყვითა, მაგ. ზომვა=სპ-ზომ-ისი (უფალი საზომავი იარაღები); ბნვა=სა-ხნ-ისი (იარაღი სახნავი); ღვ-მა=სა-ღვ-ისი (იარაღი საღვმელი), მზად-ება=სა-მზად-ისი (სამზარეულო იარაღები). აგრეთვე: სა-აგუ-სო, სა-ჯდომ-ისი (მებელი). ეგრეთ კე იხმარება: გასა-ძლ-ისი=რაც საჭიროა გაიაძლებად, სა-წვი-მ-ისი=რაშიც აგრძელებენ წერილის წერილი, სა-რწყვ-ისი=(სარწყავი იარაღი), სა-მხრ-ისი=სამხრისთვის დადებული საზმე, სა-გზლ-ისი=(საგზაო)=გზისთვის საჭირო საგზალი, სა-ვლ-ისი=სავლელი იარაღი; თხა (გედ-რება)=თხ. ისი=საგედრებული ლოცვები; სა-მაგრ-ისი=დასამაგრებული იარაღები, სვეტები. ეგრეთვე იხმარება: სა-წალ-ისი, სა-კმარ-ისი, შესამ-ტყვ-ისი, სა-ხმარ-ისი. ამ გვარი წარმოქმნა სიტყვათა მით უფრო საჭი-

როა ჩექის მწერლობისთვის, რომ მიმღეობათა, წარმოაქმდეთა ნაკვეთითა «სა—x—ი, აკი» ორ გვარი დოლიგური მნიშვნელობა აქვთ, რისაგამო ჭარბი იცევა, მაგ. სახნავი=რაც უნდა მოიხსნას და იარაღიცა, რათაც უნდა მოიხსნას; ეგრეთვე: სარწყავი მიწა და სარწყავი იარაღი, დასაჭრელი დანა და დასაჭრელი პური, ჭაწერი კალამი (იარაღი) და საწერი ქალალი, საკერავი იარაღი, საკერავი კაბა და სკვ.

§ 44. იგ) ნაკვეთი «x—ობი» სშირად იხმარება არსებითი სახე-ლად, ადგი ალ-მაკი თარებებელად: როგორი ადგილები? — დაბლ-ობი (დაბალი ადგილები), შალლ-ობი, ჭა-ობი, ქვიშ-რ-ობი (ქვიშიანი ადგილები); ქვა-ობი, მთ-ობი, ახლ-ობი, გვიმრ-ობი (გვიმრიანი ადგილები), სახლ-ობი (დასახლებული ადგილები), ვენას-ობი და სხ. ძველს ენაში სშირად ხმა-რებულა ამ ნაკვეთის მაგიერ სხვა უფრო რთული: «x—ობ-ირი», მაგ. ყან-ობ-ირი=დათესილი ადგილები, დაბ-ობირი=დაბებით ანუ სოფლებით მოშენებული, დასახლებული; სახლ-ობირი, მწვან-ობირი და სხ.

ნაკვეთი «x—ნარი» — შეკრებილობითი გამოყენება აგ-ოეთვე ადგილსა, რომელზედაც ერთად შეკრებილია, — ძირებულ სიტყვით გამოხატული საგნები, მაგ. მეს-ნარი=მესის ტყით მო-თენილი ადგილები. ამ სახითვე: ნაძვ-ნარი, ფიჭვ-ნარი, ხილ-ნარი, ბაღ-ნარი, ბუჩ-ქარი, თხილ-ნარი, შაბა-ნარი, ბაშ-ნარი და სხ.

შენიშნვანი: 1) ნაკვეთი «x—ობ-ანი» ანაუ «x—ანა», — მიბაბ-ვითი, აღნიშნავს მიბაბვას მოქმედებისადმი იმ საგანთა, რომელ-ნიც გამოთქმულ არიან. მირეულ სიტყვებითა, მაგ. ძერა—ძერობა — ძერობანი=ძერ-ობანა, მწევრ-ობანა, რეს-ობანა (მიბაბვა უფრეს რესუ-ლისა), ორ-ობანა, ცოლ-ობანა (თამაშობა).

2) იშვიათად იხმარება ნაკვეთი «x—სპნელი», რომელიც აღნიშნავს სადაურობას და თუმცა გრამმატიკულად ზედშესრულია, მაგ-რამ დოლიგურად კი არსებითად იხმარება, მაგ. ქვე-სკნ-ელი, ჭე-სკნ-ელი, გარე-სკნ-ელი, უკანა-სკნ-ელი და სხ. — 3) მიმღეობანი, წარმოაქმდენი ნი ნაკვეთითა «მ-ჯ-არი» სშირად გარდაიქცევიან ნაკვეთად «მ-ჯ-არ-ე», ე. ი. უკანასკნელს ხმოვანს შესცვლიან «ე»-დ და იქცევიან არსებით სახელად, მაგ. მ-დინ-არ-ი (დენ) = მ-დინ-არ-ე, მდელ-არ-ი (დელილი) = მ-დე-

ლ-არ-ე (არსებითად იხმარება); მწუხ-არი=მწუხ-არ-ე. მ-შობ(ი)არი=მშობ-(ი)ა-
რ-ე; მთევ-რი=მ-თევ-არე=მ-თვარ-ე. ეგრეთვე: მ-გლოვიარ-ე; მ-ცენ-არ-ე,
სა-ქმ-ე (ქმა). გარჩეს ესევე ფორმა სშირად მიმღეობისაგან. ზედშესრუ-
ლადაც იქცევა, მაგ. მჯდ-მ-არ-ე, მ-წყრომ-არ-ე; სა-ომ-არ-ე, მოტყინ-არ-ე.
მღვიძ-არ-ე და სხ. — 4) ძალიან სშირად სხვა სიტყვის ნაწილები ისმა-
რება არსებითის მაგრე (არსებითი იგულისხმება), მაგ. ბერი, (კაცი)
ბებერ-ი, დედალი, ხუცესი, კოჭლ-ი, ბრმ-ა, პირუტყვი, პურ-ადი,
მ-ჩედ-არი, წვა-დი, მევიდრ-ი, მ-წერ-ალი, სა-წერ-ელი, მ-ღვდ-ელი, მ-კით-
ხ-ავი, მმობილი, დობილი, პირველი, მეათე და სხ. 5) აგრეთვე სშირად
ისმარება არსებითად ზედშესრულის ნაკვეთებით წარმოებული: ლსა-
ნი, იანი, ღვანი, ერი, მაგ. ადამ-იანი, ქრისტ-იანი, რესუდან-იანი,
პეტრეს-იანი, ბარათ-იანი.. ცხენ-ოსანი, მშვილდ-ოსანი, მანდილ-ოსანი,
ჯილ-ოსანი.. კლდ-ოვანი, მაყვლ-ოვანი, ხე-ი-ვანი.... ხორც-იელი, სიტ-
ყვ-იერი, მეცნ-იერი, ადამი-ერი და სხვ. (იხ. § 50).

ნათესაბობითად დაბრუნებული სიტყვები სანდისხან იქცევა არ-
სებითად მიმატებითა ბოლოს სმოვანისა («ი»-სა მაგრერად «ა»), მაგ.
მამასახლ-ის-ა-მამა-სახლ-ის-ი, დედა-სახლისა-დისახლ-ის-ი; აგრეთვე:
სამთავ-ისი, თფილ-ისი, უფრომსა-უფრო-სი, ღაღად-ის-ი. გარჩეს: კარ-ისა
=კარ-ს-ე, ყურ-ისა=ყურ-ე (იხ. ქვემო ზედშესრულობით).

უცხო ენათაგან შემოღებულია აგრეთვე სასასელ-არსებითო ნა-
გებები: «სანაჲ და «დანი», რომელითაგან პირველი აღნიშნავს
სა სლ სა ანუ ჭარ სა ნა ს, სადაც აკეთებენ, ამზადებენ ანუ ჭედი-
ან ძირში მოქცეულის სიტყვით გამოსახულს საგანსა, ხოლო მეო-
რე-ჭურჭელსა, რომელშიც აშშადებენ, მაგ. ყავა-ხანა (სახლი),
ყავა-დანი (ჭურჭელი), ლუდ-ხანა (სახლი ანუ ჭარხანა) და სხ.

II. ზედშესრულნი.

§ 46. ზედშესრულნი ანუ კითარებითნი სახელნი იქმნებან:
1) პირველ-სახენი, მაგ. ბოროტი, სეფთა, ავი, ბლუ, ლალი,
მარდი და სხ., 2) ანუ წარმოებული თუთ პირველ-სახეთა ზედშეს-
რულთაგან, (მაგ. ბოროტ-ული, უ-ბოროტ-ესი, მო-დიდ-ო და სხვ.) ანუ

წარმოქმულთა ზედშესრულთაგანვე გრინა სსკა-სიტუაცის ნაწილთა, მაგ. რქ-იანი, უ-რქ-ო, ნა-რქ-ენი, გულ-ადი, გულ-იო-ადი, გულ-ოვანი, ნა-გულ-ად-ევი, სა-გულ-ად-ო.

წარმოქმული ნაკვეთი სამიმდეობონი.

წარმოქმულთა ზედშესრულთა ეკუთხიან მიმღეოსაცა, ოთ-მელნიც, რევოლუც ზედშესრულნილიცა, აღნიშნებითარებასა და იხმარებიან განმშარტებულად სსკათა სიტუაცია და ზედშესრულებრივს კით-სკებზე მოგვიგებენ: ვითარი? როგორი? რომელი? და სხ.

გრინა მიმღეობანი გინირჩევიან ზედშესრულთაგან მით, ოთმ გვიჩვენებენ კითარებასა: а) მოჭმედ სა (მიმღეობანი მოჭმედებითი), მაგ. დამადებელი ღმერთი (ოთვორი ღმერთი?); კაცი მფარველი აბოლუთა. შემწყნარებელი ქვრივთა; б) ანუ ვნებული სა (მიმღეობანი ნებითითი), მაგ. გული მოკლული სევდათაგან; (ოთვორი გული?), მტერიძლეული; მოსაჭრელი ხე და სხ. გ) ანუ მდგომარეობითი), მაგ. მდგომარე, მომღერალი, მინარე, მჩინარი, მაძლარი და სხ.; ხოლო ზედშესრული აღნიშნები კითარებას უმოქმედოსა, უმოძრაოსა, (მაგ. ფერს, გემოს, სიდიდ-სმცირეს და სხ.), მაგ. ოქონი ქალალდი (ზდშ.) გათეთრებული ქალალ-დი (მიმღ.).; ტკბილი ენა (ზდშ.); დამატების ული ენა (მიმღობა.); დიდი საქმე (ზედ), გადიდებული საქმე (მიმღ.) და სხ. დ) გარდა ამისა მიმღეობითა ზედშესრულთა, ოთვორც ზმნებისაგან წარმოქმულთა, აქვთ დოლაცა, მაგ. მწერელი ანუ მწერი (ეხლა); დამწერი (გათვებული); დასაწერი (შემდეგ), დაწერილი (გათვებული ვნებული).

ე) მიმღეობათა დაწვიან თანდებულნი, ოთვორც ზმნებსაცა, ხოლო ზედშესრულთა არა, მაგ. დაწერილი, გარდა-წერილი, გარდ-მო-ნაწერი, შე-მო-წერილი, შთა-წერილი, შე-მო-უწერელი, მი-მწერელი, მო-ნაწერი და სხ.

ვ) წანადადებაში მიმღეობანი, ოთვორც ზედშესრულნიც, არა თუ ეთანხმებიან ქვემდებარებას რიცხვით და ბრუნვით, არამედ თუ ითხოვენ დამატებითს სიტუაციებსა დადებულსა ბრუნვებზე: ნათესაობითსა, მოჭმედებითსა და ზმნის-ზედითსა; ხოლო ზედშე-

ჟულთა სხვა სიტყვები არ ემორჩილება, მაგ. კეთილ-დ მოუბარი ქალი, რკინის კალმით დაწერილსა წერილსა ვკითხულობ; ყოვლისა კეთილსა უც გად მომცემელმან ღმერთმან მოგვმადლა ქვეყანაც. ერთის სიტყვით, მიმღეობა თანავათ თჯსი და მოგვიდებული სიტყვით, ხოლო ზედ შესრულთა არა.

გ) უკანასკნელ, მიმღეობითთა-ზედ შესრულთა აქვთ თჯსი სა-გუთარი საწარმოებო ნაკვეთები, რომელთა განხილვას შეკუდგეთ.

საწარმოებო ნაკვეთნი მიმღეობისანი
არიან შემდეგნი:

§ 44. 1) შემოქმედებითნი მიმღეობანი: ა) აწ-
მეოდეს დოლოსანი იწარმოებიან სახელზმნათაგან. უკანასკნელთ
ხმოვანთა მოკლებით და დამატებით თავში «მ» (ანუ «მა», —თუ მრა-
გული მარცვლოვანი სახელზმნას და ბევრი უსმოები შეურიცია თავში)
და ბოლოს «ელი»: «მ-ა-კლი», სადაცა ა უდრის სახელზმნას უკა-
ნასკნელ-ხმოვანოდ, მაგ. ჭრ-ა=მ-ჭრ-ელი, ყივნებ-ა=მ-ყივნებ-ელი ანუ
მა-ყივნებ-ელი; პევ-ა=მ-პევ-ელი ანუ მა-პევ-ელი; ჭამ-ა=მ-ჭამ-ელი; ღო-
მ-ა=მ-ღომ-ელი, შლ-ა=მ-შლ-ელი, ცდ-ა=მ-ცდ-ელი და სხ.

ორ და მეტ მარცვლოვან სახელზმნებში ბოლო-ნაკვეთი მიმ-
ღეობისა «ელი» ხშირად შემოკლდება «ი-დ. მაგ. მწერ-ელი=მწერ-ი,
მგმობ-ი, მკეთებ-ი და სხ.

სახელ-ზმნანი «ვათ-თი, დაბოლოებული მიმღეობად შეცეული ბოლოს დაისვმენ «ავია-ს, თუ «ვა»-ს წინ უზის უხმო ასრ, («მ-ავი»), მაგ. ბარვ-ა=მ-ბარ-ავი; ზიდვ-ა=მ-ზიდ-ავი, კვალ-ვა=მ-კვა-
ლ-ავი და სხ.

შენი შნეა. მიმღეობანი, დაბოლოებული როგორითა ნაკვეთებითა:
«ებ-ელი, ებ-ული, ევ-ელი, ევნელი, ხშირად მოიგემდენ ამ საბოლოო-
თა და დაინარჩუნებენ მხოლოდ ჰირველს ხმოვანს «ე», მაგ. განმგ-ებ-ელი
განმგ-ე, გამძლ-ებ-ელი=გამძლ-ე: დამსწრ-ებ-ელი=დამსწრ-ე, შემწ-ევნ-ე-
ლი=შემწ-ე; მწვ-ელი=მწვ-ე, მრუდ-ებ-ელი=მრუდ-ე, მწვირ-ებ-ელი=მწვირ-ე,
მდარ-ებ-ელი=მდარ-ე. ამ სახით წარმოებულნი აშიმღეობანი ეკუთნიან
მდგრძალებითთა.

ბ) ნამეო სრული შემოქმედებითის მიმღებისა იწარმო-
ება აწმუოსაგან შემწეობითა საზმებო თანდებულოა: გა, და, გადა,
შე, შთა და სხ. მაგ. მყრელი=გა-მყრელი; მწერი=და-მწერი, მშენე-
ბელი=აღ-მაშენებელი, მქმნელი=შე-მქმნელი და სხ.

შენიშვნა. მეობადი დრო არა აქვს.

2) მიმღებითნი-ზედ შესრულები გნებითნი იწარმოქებიან:

ა) აწმუოს დრო სანი სახელ-ზმების ძირისაგანვე ნაკვე-
თითა «სპ-ჯ-ელი», ხოლო სახელზ-მნანი დაბოლოებული ევა-ზედ
(თუ ამ მარცვალს წინ უხმო უზის) ნაკვეთითა «სპ-ჯ-ელი», მაგ.
ჩეჩა=სპ-ჩეჩ-ელი ანუ სპ-ჩეჩ-ი, დგომა=სა-დგომ-ელი ანუ სა-დგომ-ი,
წოლა=სა-წოლ-ელი ანუ სა-წოლ-ი, ქსოვა=საქსოვ-ი, ბურვა=სა-ბურ-ავი;
აგრეთვე: სალოცა-ავი, სა-კლ-ავი (კლ-ვა) და სხ.

შენიშვნა. რადგან ამ ნაკვეთებითა ნაწარმოები სიტყვანი როგორს
მნიშველობას ღებულობენ და ამით ჰაზრი ირევა (§ 41), ამისთვის საჭიროა
დადებულ იქმნეს გარეგანი ნიშანი გასარჩევად იმისა, თუ როდის აღნიშნავს
ნაკვეთი ვნებას და როდის იარაღია. ვნებითს ფორმას სჯლია დაესვას ასოზე
„ი“ ორი წერტილი (..), მაგ- სახნავი (მიწა), დასაჭრელი (პური); საკლა-
ვი (ზროხა), საპობი (შეშა). ხოლო აღმიშნველი სამოქმედო იარაღისა დარჩეს
უამ-ნიშნოდ: სახნავი (მაშინა), საჭრელი (დანა), საპობი (იარაღი), სატკეპი
(მოწყობილობა) და სხ.

ბ) მომავალი დრო იწარმოქება აწმუოსაგან დამატებით რომ-
ლისამე საზმებო თანდებულისა: გა-საჭრელი, მო-საქსოვი, და-საწერი,
წა-საშლელი.

შენიშვნა. ძეგლს ენაში ხმარებულა სსვა ფორმაცა, რომე-
ლიც აღნიშნავს არა მხოლოდ მომავალსა დროს, არამედ წარსულსა
და აწმუოსაცა, ე. ი. ფორმა სამარადი სრული დრო სა: სა-
ხელ-ზმნას მიემატება ბოლოს მარცვალი დდი», მაგ. ძეგბა=ძეგბა-დი
აგრეთვე: ჭამა-დი, კლვა-დი, ქცევა-დი, ცვალება-დი, წარწყმედა-დი და სხ.

გ) ნამეო სრული დრო ვნებითის ფორმასა იწარმოქების
როგორად ღრითავე ნაკვეთითა: აა) «ჯ-ელი», ანუ «ჯ-ული», და
ბბ) «ნპ-ჯ-ი».

ა) ნაკვეთი «*x-Uლი*» მიემატება «*მა*» და «*ბა*»-ზე დაბოლოებულ სახელზმნების ძირს, გარნა «*ვა*»-ზე დაბოლოებული ამ საბოლოოს («*ვა*»-ს). სრულიად ჭყარგვენ, მაგ. ბმა=ბმ-*ული* ღებ-ა=ღებ-*ული*, ვსებ-ა=ვსებ-*ული*, ხე-ვა=ხე-*ული*, ჟავე-ვა=ჟავე-*ული*, ბირჩე-ვა=გარჩე-*ული* და სხ.

მაგრამ თუ ასო «*ვა*» არ მოიგეხევა საბოლოოსაგან, მაშინ «*ული*» გარდაიჭცება «*ილი*-დ», მაგ. მოსრ-ვ-ილი, კუთნ-ვ-ილი, შემუს-რ-ვ-ილი, გლო-ვ-ილი, თხო-ვ-ილი, დალოც-ვ-ილი, დაურ-ვ-ილი, და სხ. რამდენიმე სიტყვა არ ემორჩილება ამ უკანასკნელს კანონსა: ბრ-ვა=შეპერილი (და არა შეპერ-ული); აგრეთვე: გალეს-ილი, გაბერ-ილი, გაზომ-ილი., გაშოთა-ილი, შემოს-ილი.

დანარჩენი სახელზმნები იწარმოება ნაკვეთითა «*x-ილი*», (და)ფენა=(და)ფენ-ილი; — (გა)ლეწ-ილი, (და)წერ-ილი, (მო)ჭედ-ილი, (შე)-ზელ-ილი, ძმობ-ილი, დობ-ილი, ნდობ-ილი, შობ-ილი, რჩობ-ილი, წოლ-ილი, (აღ)დგომ-ილი, (და)დგდომ-ილი, (გა)შლი-ილი და სხ.

შენი შნვა. ხშირად ეს ფორმა უთანდებულოდ იხმარება, როგორც აწყურ და თანდებულით როგორც ნამყო.

ბბ) ნაკვეთი «*ნა-х-ია* მიემატება სახელ-ზმნების ძირს, მაგ. ნა-ბეზღებ-ი, აგრეთვე: ნა-ვნებ-ი, ნა-ძლევ-ი, ნა-ქცევ-ი, ნა-წყენ-ი, ნა-ბიჯ-ი (ბიჯება), ნა-ყმედ-ი, ნა-ცემ-ი, ნა-შობ-ი, ნა-ძმობ-ი, ნა-ბან-ი, ნა-წოლ-ი, ნა-ცტომ-ი.—იშვიათად ბოლოს მიემატება «*პრი*», მაგალ. ნა-თოვ-არი, ნა-თხოვ-არი, ნა-შოვ-არი, ნა-გვემ-არი, ნა-დებ-არი.

მაგრამ «*ვა*»-ზე და «*მა*»-ზე დაბოლოებული სახელზმნანი, თუ ამ საბოლოოთა წინ უხმო ასო უზისთ, ამ მარცვალს ჩვეულებრივ უკუდა გადაიბრუნებენ, ე. ი. «*ვას*»-ს აქცევენ «*ავ*»-დ და «*მა*»-ს — «*ამ*»-დ, მაგ. ბ-მა=ნაბ-ამ-ი, თქ-ვმა=ნათქვ-ამ-ი, სხ-მა=ნა-ს-ს-ამ-ი, ბარ-ვა=ნა-ბარ-ავ-ი, ხნ-ვა=ნა-ხნავ-ი.—უფრო ხ შირად «*ავ*» სრულიად გამოეკლება, მაგ. ნა-ბარ(ავ)-ი, ნა-ბურ(ავ)-ი, ნა-ოზ(ავ)-ი, ნა-კიოხ(ავ)-ი და სხ. რომელიც ასებითად გარდაქცეულან, შემოკლებულან ამ სახითვე, მაგ. ნა-შო(ენ)-ი, ნა-ბიჯ(ებ)-ი.

ერთ-მარცვლოვან სახელ-ზმნებს მეორის რიგისას, გარდა «*ვა*» და «*მა*»-ზე დაბოლოებულებს, წარმოების დროს კეთილ-ხმო-

ვასებისთვის ჩაემატება ხმოვანი «ა», ე. ი. ოწარმოება ნამყო სრულისს უდელილებისაგან, მაგ. ორა-ნათხ-ა-რი (და არა: ნა-თხო-ი); შლ-ა-ნა-შალ-ი, ხდ-ა-ნა-ხად-ი, ვლ-ა-ნა-ვალ-ი და სხ. მხოლოდ შემძებს სიტყვებს ჩაესვმება ხმოვანი «ე» («ა-ს მაგრენ»): ცრ-ა-ანაც-ქ-რი, ჭრ-ა-ნაჭ-ე-რი, კრტნ-ა-ნაკრტ-ე-ნი, სპგნ-ა-ნასკვ-ე-ნი; აგრეთვე: ნაძღვ-ე-ნი, ნახრწ-ე-ნი, ნაღრღ-ე-ნი, ნაფხვ-ე-ნი, ჟაფუქვ-ე-ნი.

სახელ-ზებნას «ია-თ ა დაბოლოებულს თავში მიემატება «ნა» და ბოლოში «ევით (ნე-ხ-ევი); ხოლო დელი-ზე ე დაბოლოებულოთ ეს საბოლოო სრულიად ექარგებათ, მაგ. ზახ-ილი-ნა-ზახ-ი, ქად-ილი=(და)ნა-ქად-ი, დუ-ლილი=(ნა)დულ-ი; ლაპარაკ-ი-ნა-ლაპარაკ-ევი, გოგმნ-ი-ნა-გოგმან-ევი.

მდგრამარეობითი მიმღეობა იწარმოება სახელ-ზმნათა ძირისაგან ნაკვეთებითა: მ-ხ-არი, ანუ მა-ხ-არი («მა-ხ-არე»), მო-ხ-არი, მე-ხ-არი; ხოლო თუ საწარმოებო სიტყვაში იშოვება ასო «რ», მაშინ იწარმოება ნაკვეთითა «მ-ხ-ალი».

სამ და მეტ მარცვლოვანნი სახელ-ზმნანი, დაბოლოებული მარცვლებითა «ება», «ობა», «ომა» და «ღლი», მოიკვეცენ ამ საბოლოოთა; სხვები კი არ მოიკვეცენ, მაგ. დება (ორმარც.)=მ-დებ-არი (მდებარე), ბეზღება (სამ-მარც.)=მა-ბეზღ-არი, ეგრეთვე: მო-ცინ-არი, მო-ტყინ-არი, მა-ქებ-არი, მ-წევ-არი (წევნა); მ-წოლ-არე, მ-ძება-რი (მე-ძებ-არი), მ-გზნებ-არი ხოლო დაბოლოებული მარცვლებითა «ობა» და «ომა». მუდამ მოიკვეცენ ამ საბოლოოთა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბევრი უხმოები არ შეიძლია «ობა»-ს წინ, მაგ. მ-ფრთხ-ალი, მ-შთვ-ალი, (შთ-ო-ბა), მ-რჩ-ვ-ალი, მ-თბ-არი, მ-შრთალი, მ-ყნარი, (ყნობა), მა-სწრარი, (სწრობა), მ-ჭენ-არი, მ-ქრ-ალი, მ-ღნ-არი, მ-თვრ-ალი, მ-ურ-ალი, (მაგრამ: შობა=მ-შობ-ი-არე), კვდ-ომა=მ-კვდ-არი, შ-ვრომა=მა-შვრ-ალი, ძლ-ომა=მა-ძლ-არი, (ა)ხტ-ომა=(ა)მატ-არი, (გა)ხდ-ომა=(გა)მ-ხდ-არი, ცდომა=მ-ცდ-არი, მ-დგ-არი, მ-ჯდ-არი, მკ-რთ-ალი; მ-ტყუ-არი (ტყუ-ილი), მ-დუ-მ-არე (დუმილი), მ-დელ-არე (დელილი), მ-ტირ-ალი (ტირილი), მო-ჩივ-არი (ჩივილი), მ-წუხ-არე (წუხილი). ს ხ ვ ა ს ა ჭ ჭ ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ ე მ-გლოვ-არე (ანუ მგლოვ-ი-არე), მ-წოვ-არი (შაწოვარი), მა-თხოვ-არი, ჭ-თრთოლ-არი (მაგრამ ძლოლა=მო-ძლ-ვ-არი), მწოლე-არი, უ(მ)ქმ-არი (ქმა), მ-ხატვ-არი, მ-დევ-არი (დევნა), მ-წევ-არი, მ-ყევ-არი, მო-მღერ-ალი, მ-თენ-არი (თევა) მ-კვლევ-არი, მ-წყევ-არი (წყევა) და სხ.

სასელზმები «ენა»-ტე დაბოლოებულები ამ ნაგებოს გარდაიქ-
ცებან «ინ»-ად, მაგ. წ-ყენა=მა-წყ-ინ-არი, დ-ენა=მ-დ-ინ-არი (მ-დ-ინ-ა-
რე), ჩ-ენა=მ-ჩ-ინ-არი (მაგრამ: კბ-ენა=მ-კბ-ენ-არე) და სხ. საბოლოო
«არი» ფონეტიკურად ხასდისხან იქცევა «ანთ-დ», მაგ. მ-ტყუ-არი=
მ-ტყუ-ანი, მ-სუქ-ანი. — რამდენიმე სიტყვა ეურება ამ ჯახონს და იწარ-
მოება ნაკვეთებითა: ა) «მო-x-ე», ედი, ღი ანუ ბ) მო-x-ი, ე,
ანუ გ) სი-x-ო, ე, მაგ. ა) მო-თამაშ-ე, მო-ძულ-ე, მო-ქენ-ე; მო-წყა-
ლ-ე, მო-ახლ-ე, მო-ლინ-ე, მო-ნატრ-ე, მო-კამათ-ე, მო-თნ-ე, მო-სწავლ-ე;
მო-ქმ-ედი, მო-რბ-ედი (რბ-ენა; სრბოლა), მო-ც მ-ედი (მო ც ე მ ა); მო-
ზარ-დი, ბ) მე-ქონ-ი, მე-პროლი-ი, მე-ოტ-ი, მე-ტოქ-ი, მე-ოქ-ი; გ) სა-
ვა-ე (ვსება), სა-ვარგ-ო (რგება—მრგებარი). — ზიარ-ი (ზიარება), ლია (ლებ),
საესავი (სასოება, მსასოებელი), სასო, მოსავი.

§ 47. სხვა საზედშესრულო ნაკვეთთაგან უმთავრესი არიან:

ა) მაჩვენებელი ვითარების ხარისხია და ბ) ზედშესრულად მაჭრები
სხვასირტყვის ნაწილთა.

ა) ნაკვეთი მაწარმოებნი ვითარები სა ხარისხია ანუ შედარებითი არიან:

ა) ნაკვეთი «მო-x-ო» მიემატება ნათესაობითის ჰრენვის
ძირს უკეთა ზედშესრულისას, გარდა დაწყებულთა «სა და მო» და
იწოდება. ნაკლებ კლებითად, რადგან წარმოქმნებული სიტყვა
უჩვენებს ნაკლებად ჭრებას ამ ვითარებისას, რომელიც გამოიხა-
და ძრეულის ზედშესრულით, მაგ. წითლ-ისა=მო-წითლ-ო, (ა:
ი: არა სრულია წითლი, არამედ ნაკლებ), მო-უცითლ-ო, მო-დიდ-ო,
მო-მყავ-ო, მო-მდაბლ-ო, მო-მსგავ-ო, მო-მცრ-ო, მო-თბილ-ო. თუ სიტ-
ყვის ბოლოს ღრა ხმოვანი შეიკრიბა, შეუძირებელი ჩასმის
ასო „ე“, მაგ. მო-ურუ-ვ-ო, მო-მყავდრო-ვ-ო, მო-ქერა-გ-ო („მოქერა-ც
ითქმის“).

შენი შენიან იშვიათად ზედშესრულად ხმარებულს არ-
სებრითისახელსაც და მიმღერბრთაც მიემატება: მო-ჩალისფერ-ო, მო-
დიდსულოვნ-ო, მო-მურალ-ო, მო-მოკრალ-ო და სხ. „მოწითლო“ შეუძირ-
ებულის: „მო-წითლ-ან-ო“, მოყვითლო=მოყვითლ-ან-ო.

ბ) ნაკვეთი; უ—*x*—მსი და უუ—*x*—მსი იმავ სახით
მიემატებან ზედშესრულოთ სახელთა, უმეტესად ჰირკელ-სახეთა და
აქცევენ მათ ზედშესრულადვე, აღმნიშნელად პირკელი უაღრესობისა
გინა უმეტესობისა (წინააღმდეგ «მო—*x*—ოა-სი, რომელიც აღ-
ნიშნავს ხავლულევანებასა), სოლო მერე (უუ—*x*—ესი) — აღმა-
ტესობისა, ანუ უმაღლესის ხარისხისა, მაგ. ახლ-ისა = უ-ახლ-
მსი (უფრო ახალი), უუ—ახლ-მსი (უკელაზე უფრო ახალი, ფრი-
ად ახალი), ბრძ-ისა = უ-ბრძ-ესი, უუ-ბრძ-ესი. ეგრეთვე: უ-ყვითლ-ესი,
უ-მაღლ-ესი, უ-მდაბლ-ესი, უ-მწარ-ესი, უ-ხუც-ესი, უმ-რწემ-ესი (მრწემი).
თუ ბოლოში ხმოვანები შეიკრიბება, შეაში ჩაესვისა ვკა, ანუ ერთ-ერთი
ხმოვანი გამოეკლება, უ-ფართო-ვ-ესი (უ-ფართ(ო)-ესი), უ-ვიწი(ო)-
ესი; ამო = უ-ამ(ო)-ესი. — ზოგი ზედშესრული შეიმოვლება: მცირე
= უ-მცირ-ესი = უმც(ი)რ-ოსი = უ-მცირ-ოსი; უ-კრც(ელ)-ესი, უ-ტ-
კბ(ილ)-ესი, უ-სქ(ელ)-ესი, უ-მსხვ(ილ)-ესი და სხ. მაგრამ შემდეგ
სიტყვებს ერთი საზოგადო უაღრესობითი აქვს: ჰატანა, მცირე,
ცოტა = უმცირესი, უმციროსი (არა ითქმის უპატარავესი, უცირტესი); აგ-
რეთვე: ფოთილი, კარგი = უ-კეთ-ესი, უპირატესი; „უდიდესი“-ს მაგირ—
უ-ფრთხოს-ი, „უცუდესი“-ს მაგირ—უარესი. (ძეელს, მწერლობაში უარესი
და „უაღრესი“ ერთი და იგივე სიტყვაა, აღმნიშნელი უმეტესობისა-
განუწევლად გარეისა თუ ცუდისა).

უაღრესობითი ნაკეთი მიემატან აგრეთვე სიტყვებს, რომელ-
ნიც წარმოებული არიან ნაკვეთებითა: ოსანი, ოვანი, იანი, იერი, ადი,
ული, სა—*x*—ო, სა—*x*—ელი, მო—*x*—ე და სახა-სიტყვების ნაწილებსაც
რომელიც ზედშესრულობითის მნიშვნელობით არიან ნახმარნი, მაგ. სვ-იან-ი
= უ-სვ-იან-ესი; ეგრეთვე: უ-ჭევ-იან-ესი, უ-მკც-ოვან-ესი, უ-ბან-ოვან-ესი,
უ-სათნ-იერ-ესი, უ-საჭირ-ო-ესი, უ-სა-მღვდელ-ო-ესი, უ-პატი-ოსნ-ესი, უ-წარ-
ჩინებ-ულ-ესი, უ-გულ-ით-ძ-ესი, უ-სა-ყვარლ-ესი, უ-მ-წერ-ვ-ალ-ესი
და სხ. — რო უ-ლი სიტყუვები: უ-თვით-მჟღობელ-ესი, უ-ცხოველს-მყოფელ-
ესი, უ-კეთილ-მოქმედ-ესი, უ-ცხენ-მალ-ესი (შ. რ. 172). არ ს ებითი
სარელთა ფრიად იშვიალად: ჭიანჭველაზე უ-ჭიანჭველ-ესი; ძალლზე
უ-ძალლ-ესი, სელზე-უსულ-ესი, ცხოველზე უ-ცხოველ-ესი, უ-ხელმწიფ-ესი;
ზ მნის-ზე დათა: უ-ადრ-ესი, უ-ახლო-გ-ესი, უ-წინა-რ-ესი, უ-ქვედა-ესი,
უ-ზენა-ესი, უ-ზესთა-ესი, უ-ზენა-რ-ესი, უ-შინა-გან-ესი და სხ.

იშვიათად ნაკვეთი «უ—*x*—ესი» მოკლდება „უ—*x*—ე“-დ, უ. ი. ბოლო მარცვალი «სი მოკვეცება, მაგ. «შაქარზე უტებილ ე და ოოვლზე უ თეთრ-ე”; აგრეთვე იხმარება: უ-ამ-ე, უ მაღლე-ე. და სხ.

§ 48. ბ) ნაკვეთი ზედ შესრულდად მაქცევნი არია: ა) *x*-რივი, უ-*x*-ო, ბ) ნი-*x*-ი, გ) *x*-ული, ური, იელი, დ) *x*-იანი, ოსანი, ოვანი, იერი, ე) *x*-ლი, ალი, ვ) *x*-ი, ზ) *x*-ინდელი, ლელი.

ა) ნაკვეთი «*x*-რივი» (ანუ შემოკლებით რი) შეიძლება ჩვეულებრივ სახელზმნის «ება» და «ობა»-ზე დაბოლოებულებს, რაისაგამო წარმოსდგება «მბ-რივი», «ობ-რივი» (ანუ შემოკლებით «ებრი», «ობრი»). და აქცევს სახელზმნის ზედ შესრულად, გამომსახველდ მიმსგავსებისა, დაახლოებისა იმ კითარებასთან ასე თვისებასთან, რომელიც მიუკუთხებას ძირულს არსებითსა, მაგ. კაც-ობა=კაცობ-რივი (ანუ კაცებრი), ლეთი-სა=ღვთა-ება=ღვთაღბ-რივი. ერთვე: ლელობ-რივი, დიაცებ-რივი, ვაჟ-კაც-ობ-რივი, მამ-ობ-რივი, მართლ-მადიდებლ-ობ-რივი, უმღვდელმთავრო-ეს-ობ-რივი, ჩემ-ობ-რივი, თქვენ-ობ-რივი და სხ.

ეს ნაკვეთი „ებრ“ ანუ „მ-ებრ“ ოვით გარდა მცენლია სიტყვად, რომელიც აჩვენებს მსგავსებას, მაგ. ოგი უსჯელოებდა და «მ-ებრ» (ანუ მებრივ) სხვანიცა, უ: ი. მის მსგავსად სჩვებიც.

შენი შენ კა. მწერლობაში უკანონოდ ურეკენ ნაკვეთებს: «ებრი»-ს და «ურია-ს, რომელიც სხვაობებს, მაგ. ჩვენებური, სოფლი ური, იმე-რ-ული, ღვთიური აღნიშნავს იმას, რაც ჩვენში, სოფელში, იმერეთში მოიპოვება, ღვთისგან მოვლენილია (მაგ. რომელიმე მისი მოქმედება, გინა, თვეება), ხოლო ჩვენებრივი, სოფლებრივი, ღვთაებრივი აღნიშნავს, რაც მიემსგავსება თვისებასა ჩვენსას, სოფლისას, ღვთისას (§-51).

§ 49. ბ) ნაკვეთი უარი აფრთხოები: «უ-*x*-ო», ი, ელი, ული, არი, ური, ავი მიეძარება ჩვეულებრივ უოკელა წარმოებულს სიტყვას და აღნიშნავს არა-ქონებას იმ საგნის თვისებისას, მოქმედებისას და სხ., რომელიც გამოხატულია ძირულის სიტყვითა, მაგ «სოფელი გნახე უ-ძალა-ო, შიგ გავიარე უ-ჭოხ-ო».

ეგრეთვე მიემატება: a) რსებითთა: კალმისა—უ-კალმ-ო, უ-ქმრ-ო, უ-ღვთ-ო, უ-განგებ-ო, უ-წყლ-ო, უ-სიქაჭ-ულ-ო, უ-თავბოლ-ო, უ-თოფ-იარაღ-ო უ-ავშარ ლაგამ-უნაგირ-ო. ერთ-მარცვლოვანნი, დაბოლოებულნი ასოდთა «ე», ჩვეულებრივ (§ 31) არ მოიგეცენ ამ უგანასკნელს ხმოვანსა, მაგ. უ-შე-ო (დაარა, უ-მზ-ო) უ-რძე ო, უ-ზნე-ო, დაბოლოებულნი «ო» და «უ»-დ სშინად ჩაიმატებენ ჩვეულებრივ უბმისა «ე», ანუ სრულიად არა მიიმატებენ საწარმოვას «ო», მაგ. უ-ბოლო-ვ-ო (უ-ბოლო-ოო)=უ-ბოლო, უ-შნო-ო, უ-შნო-ვ=უ-შნ-ო, უ-ხბო(ვო), უ-ღვინ-ო, უ-დრო-ვო. b) ზედ შესრულ-თა იშვიათად მიემატება: უ-ცუფთა-ო, უ-თასნ-ო, უ-ვარ-გის-ო (უ-ზარგ-ო). მაგრამ ზედ შესრულნი დაბოლოებულნი მარცვლებითა: იანი ღვანი, იერი, უმეტეს ნაწილად იცვლიან საბოლოოს მარცვლებითა «ური» და «პრი» ანუ (თუ მითში მოიპოვება ასო «რ») «ულმ» და «ალმ»-დ, მაგ. ჟამ-იერი=უ-ჟამ-ური, გონ-იერი=უ-გონ-ური (უ-გონ-ური), წვერიანი=უ-წვერ-ული, ბელნ-იერი=უ-ბელ-ური, თავ-იანი=უ-თავ-ური, საქმ-იანი=უ-სა-ქმერი, დაბ-იანი=უ-დაბ-ერი, მეცნ-იერი=უ-მეც-არი, (უ-ვაცი, უ-ცები), ფერ-იანი=უ-ფერ-ული; მადლ-იანი=უ-მად(ლ)-ური, გემ-რ-იერი (გემო)=უ-გემ-ური, პიტივ-იანი=უ-პატ(ივ)-ური. გარნა სიტყვა: უ-ნებ-ური=უნებლიერი. ქველს მწერლობაში: წყლიანი=უ-რწყ-ული (და არა: უ-წყლ-ული), ჟოლი=უ-კეთ-ური, მორჩილი=უ-რჩ-ი(უ-რჩ-ული=უ-რჯული).

c) მიმღეობა ნირ დაბოლოებულნი მარცვლოთა: «ილი», შეიცვლიან ამ საბოლოოსა „ელი“-დ, ორგანულ მამაკალისა სახეეფა, წინა ნაკეთისა („ს“) გამოკლებით, მაგ. იქმ-ული=უ-თქმ-ელი, (და)ლე-ული=და)უ-ლევ-ელი, (და)ფენ-ილი=(და)უ-ფენ-ელი, (გა)ზრდ-ილი=(გა)უ-ზრდ-ელი, ქმნ-ლი=უ-ქმნ-ელი, (მოქმედი=უ-ქმი), დაბოლოებულნია «რი»-დ არ იცვლიან ამ საბოლოოს, მსოფლიდ ხშირად ჰქანებენ საწარმოებო წინა-ნაკეთების: „მ“, „მა“, „მა“. მაგ. უ-(მ)ჭენარი, (გა)-უმქ-რალი, უ-მ-ყარი, უ-ტყუ-არი (მატყუ-არი), უწყინარი (მა-წყინ-არი), უ-(მ)ეპ-არი (სიტყვა-საგან „მეპრი“); უ-(მ)ჩინარი, (მ-ჩინ-არი).

დაბოლოება «ილი» შეიძლება ერვენოვან შეიცვლოს: «დ»-დ (x-o): უ-წერ-ელი=უ-წერ-ი, იგრეოვე: უ-ცნობ-ი, უ-ხმობ-ი, უ-გვან-ი, უ-ქმ-ი (ქმა, უ-ქმნ ელი), უ-კლებ-ი, უ-მენ-ი (უ-სმ-ი), და სხ.

ამ ნაირად, კნებითი მიმღებანი გაცევას რა უარყოფითად, მიღებენ არგვანსა ნაკვეთებს: ა) «*უ—x—o*» და «*უ—x—ელი*», ბ) *უ—x—არი* ანუ *უ—x—ალი* (თუ ძირში „*ა*“ იპოვება) და „*უ—x—აკი*.“

მიმღებაში საწარმოებო წინა-ნაკვეთები სრულიად იკარგება, ხოლო თანდებულები წინ დაედება ნაკვეთს «*უ*»-ს, მაგ. გამო-უ-ცდ-ელი (ცდა), შე-უ-ორგულ-ებელი, და-უ-ვიწყ-არი, აღმო-უ-ცენე-ლი, ა-უ არე-ბ-ელი (არება ანუ რება); ნა-კვეთი=უ-კვითი, სავ-ნებ-ელი=უ-ვნებ-ელი. — სხვა სიტუაცის ნაწილებში კი «*უ*» წინ უძღვის საწარმოებო ნაკვეთებს: უ-მე-დუქნ-ო, უ-სა-მართ-ლო, უ-სი-ყყარ-ულო, უ-უ-მ-ჯობ-ებო (ჯო-ბ-ნ-ა), უ-სა-სა-ნთ-ლო (ნთ-ება, სანთებელი, სა-სანთლ-ე). —

უცვალებადს სიტუაცის ნაწილებსაც მიუცემს ნაკვეთი «*უ*»: უ-აქა-ო, უ-მანდა-ო, უ-ვერა-ო, უ-არა+რა-ო, უ-თუ-ო, უ-მერის-ო და სხ.

§ 50. გ) ნაკვეთი: ნი—*x—o* (ალი, არი, ვვი)

მიუმატება უცვალე სიტუაცის ნაწილს გარდა ნაცვალ-სახელთა და უცვალებადთა სიტუაცია და აქცევს მათ ზედ შესრულად უ დ ფ ი ლ ო ბ ი თ ა დ, ე. ი. წარმოებული აღნიშნავს წარსულის უთვილობის ძრულისას ანუ ნაშთს გინა ნამოქმედარს, მაგ. არსებითთა მიუმატებით: ნი—ქალაქ—ვვი (ქალაქ უთვილი), ნი—ბატონ—არი=ბატონად უთ-ვილი. ეგრეთე: ნა-სოფლ-არი, ნა-ყან-ევი, ნა-ფუძ-არი, ნა-სახლ-არი, ნა-ტაძრ-ალი, ნა-ტერთალი, ნა-ქუდ-არი. დროს ადგიშნავს: ნა-აღდ-გომევი, ნა-აბანო-ევი, ნა-ავდრ-ევი, ნა-წვიმ-არი=შემდეგ აღდგომისა, ავ-დრისა და სხ. — ზედ შვერულთაცა მიუმატება: ნა-ფრთხი-ლა-რი, ნა-ძალად-ევი, ნა-ოხრა-ლი, ნა-თოლ-არი=რაჩ ულივა— ფილა თელა თელა თელა თელა შენახელი, თხრად დარჩენილი და სხ. რიც-ს ე გ რ ე თ თ ა დ. მიუმატება: ნა-ათ-ალი, ნა-თოხ-ალი, ას-ორმეოც-და-ნა-თორმეტ-ალი=რაც უგევ უთვილა გაუთვილა თოსად, ათად ჭიუ რაც დარ-ჩენილა თოსად, ათად გაუთვის შემდეგ. — ზენებს მიუმატება: და აქცევს მიმღებად, როგორც ზემო კითხვით (§ 46, ბბ). მაშენება ბათა, არ მიუმატება გარდა იმისობანებისა, რომელნიცა ისმარებან. სა-

სედა ასებითობის მნიშვნელობით, მაგ. მო-ძლვ-არი=ნა-მოძლვრ-ევი ანუ
ნა-მოძლვრ-ალი, მ-კვდ-არი=ნა-მკვდრ ევი. ეგრეთგე: ნა-მღვდლ-არი, ნა-
წინას წარ-მეტყველ-ევი, ნა-მ-შობია-რევი, ნა-ავად-მყოფ-ევი, ნა-მო-ქმედ-არი
და სხ.

§ 51. დ) ნაკვეთები: «*x*—ური», «*x*—ული», «*x*—
იული», „*x*—იური”

ჩეულებრივ მიემატება უზეულ სიტუაცის ნაწილს, გარნა უმეტე
სად ასებითთა და აქცევს მათ ზედმესოულად შეივერებითად,
რადგან წარმოიპული სიტუაცია აღნიშნავს ძირულ სიტუაცითა დასა-
ხულის საგნების შესაფერსა თვისებისა და მოქმედებისა, გრძა-
მათგანვე წარმომდინარეთა ბუნებრივობა თუ სებათა და
გითარებათა, მაგ. კაც-ური=საქმე შესაფერი კაცის თვისებისა
ანუ ბუნებისა, აგრეთვე მეფ-ური, გმირ-ული, მმ-ური, მღდლ-ური, დარ-
პაისლ-ური, ლიც-ური, ქართ-ული...=რაც მეფეს, გმირს, მმას და სხ.
შეამუშავა, მათს ბუნებითს თვისების შეადგენს, ანუ მათგან წარ-
მომდინარეობს.—ამ სახითვე მიემატება ეს ნაკვეთი სხვა სიტუაცის
ნაწილებსაცა: ირიბ ული, დღეგამელ-ური, პროვ-ული, დიდულოვნ-ური,
აქა-ური, გარე-ული და სხ. ზმნებსაც მიემატება, გარნა, მსო-
ლოდ წარმოებულობა ნაკვეთებითა, «ება» და «ობა»
და მუდამ მიღებს ნაკვეთსა «ური» (*x*—ური) და არა
«ული», რადგან უკანასკნელი ნაკვეთი, ზმნებსა მიმ-
დეობად აქცევს, მაგ. ღვთამბ-ისა=ღვთაებუ-ური (ღვთაებ-
ული ანუ გაღითავებული კი მიმღებაა), სამ-ებური (სამებული, გასამებული
—მიმღებაა); ეგრეთვე: ოცნებ-ური (და არა: ოცნებ-ული), «ასებ-ური,
ზნებური, ღვთისმეტყველებ-ური (ხოლო: ღვთისმეტყველი=ღვთისმეტ-
ყველ-ური), მართლ-მსაჯულება=მართლ-მსაჯულ-ებური (მართლ-მსაჯული=
მათთლმსაჯულ-ური), სახლობ-ური, დღეობ-ური, საზოგადოებ-ური).

ნაკვეთი «იური» და «იული იმავ მნიშვნელობით მიემატება
ერთ-მარცვლობან სიტუაციას დაბოლოებულებს ხმოვანითა «ე» (§§ 31,
38) და ანუ მრავალმარცვლოვანებს, დაბოლოებულობა «ის», მაგ. დღე=
დღ-იური, მზე=მზ-ი-ური, თვე=თვი-ური (მ-გრამ „ღმერთი“=ღვთი-ური)

და სხ. იტალია=იტალ-იური (მაგრამ ფრანცია=ფრანც-ი-ცული), დინია=დან-იური, ქლესია=ქლესი-ური. — წარმოებული სიტყვებ საჯ მიემატება: ღვთაებრივი=ღვთაებრი-ული, კაცობრივი=კაცობრივ-ული, მამობრი-ული და სხ.

ნაცვალ-სახელნი პიროვანი და ჩვენებითნი, აგრეთვე რამდენიმე სხვა ქვემო-ნაჩვენები სიტყვები იწარმოებიან მრავლობითის რიცხვისაგან ნაკვეთით «ებ» (ნათესაობითი სტრუნვისა), მაგ. მე-ჩემი—ჩემები—ჩემებისა—ჩემებური; იგი-მისი-მისები—მის-ებ-ური, ესე-ამისი-ამისები—ამისებ-ური; ჩემისა-ჩემის-ები—ჩემის-ებ-ური; თქვენისა—თქვენის-ები—თქვენისებ-ური. აგრეთვე: ჩვენ-ებ-ური, ჟვენ-ებ-ური, იმათ-ებ-ური, ძველი—ძველ-ები—ძველ-ებ-ური; მამა-პაპ—ებ-ური, დიაც-ებ-ური, აწინდ-ებ-ური, წელანდ-ებ-ური (წელანდლებური), წინანდ-ებ-ური, ვაუკაც-ებ-ური (ვაუკაც-ური) და სხ. (გარსა არა «დიპლომატ-ებ-ური», მაგიურ «დიპლომატიური»-სა).

წარმოებულნი სიტყვათაგან დაბოლოებულთა მარცვლებითა, აილი ანუ «ირი» ჭყარგენ-ორსავე ხმოვანსა «ი», მაგ. ჟეთილშობ-ილი—კეთილშობილ-ისა—კეთილშობ(ი)ლ(ი)ური, დედობ-ილი—დედობ(ი)ლ(ი)-ური. ხოლო დაბოლოებულნი მარცვლებითა «ი-ერი» ანუ «ი-ელი» ხშირად მოიგენეცენ გეთილ-ხმოვანებისათვს სამს უკანასკნელს. ასო-ებსა (ერი, ელი), მაგ. ადამ-იერი=ადამი-ური (და არა: ადამ-იერ-ული), მეცნიერი=მეცნ-იური (და არა მეცნი-ერ-ული), შვიდღ-იერი, შვიდღ-იური, ლომბ-იერი=ლომბ-იური, კანონ-იერი=კანონი-ური და არა (კანონ-იერ-ული). მაგრამ გონ-იერი=გონ-ივრ-ული, ნებ-იერი=ნებივ-რული და არა: ნებილ-ური, გონიერული). დაბოლოება „ელი“ (სადაურობითი) ხში-რად საულიად მოიგენება, მაგ. მეგ-რელი=მეგრ-ული (და არა მეგ-რ-ელ-ური), სპარს-ული (და არა: სპარს-ელ-ური), რაჭე-ული (და არა რა-ჭე-ელ-ური, იმერ-ული (და არა: იმერლ-ური) და სხ.

კაზროვნებითის მნაშნელობით ეს ნაკვეთი. შეიტებითი ძა-ლიან წაგავს ზემო აღნიშნულს კუთვნილებითს ნაკვეთს „სა-ხ-ო“-ს და მწერლობაშაც ხშირად აღირება ხოლმე მათი სტარება, უკანასკნელი მუდამ აჩვენებს კუთვნილებას, საჭიროებას და სხ. ხოლო პირველი ბუნებრივს შესაფერობას, წარმოებას; მაგ. ხა-ქვეუნ-ო საქმე=ისეთი ხაქმე, რომელიც საჭიროა ქვეუნისთვს, გამოხადეგია, წინ წამწევი; ხოლო ქვეუნი-ური საქმე=ქვეუნის შესაფერი, მისგან წარმოდენი-ლი, თუნდ რომ ქვეუნისათვს გამოხადეგიც არ იყოს, მაგნელიც იყოს. სა-

შეცნიერო, გამგზავრება—შეცნიერებისთვის საჭირო; შეცნ-იური დასკვნა—შეცნიერების შესაფერი, მისგან წარმომდინარე. სა-ბრძნო-ო სიტყვა: პრძნად გამხდელი, ბრძნობისუს საჭირო, განმაპრძნობელი; ბრძნული ქცევა—ბრძნის შესაფერი, ბრძნობისაგან წარმომდინარე და სხ.

შე 60 უნივ. არც ნაკვეთებიანი „ეპრივი“ და „ოპრივი“ უნდა იქმნეს ღრული (§ 48).

§ 52. ე) ნაკვეთი დ ქანებითი თი.

ჩვენს ქართველ აქვს რამდენიმე ნაკვეთები, რომელიც აღნიშვნელობას და იწოდებიან ქონებით ად. ქსენი: არას: იანი, ავანი, ასანი, ერი, მაგ. წელიანი, გულ-ოვანი, ნაყოფ-იერი, ხნ-იერი, წვერ-ასანი.—გარნა ამ ნაკვეთებთ შორის სუვერენი შესაძლებელი განვითარება იმის მისედევით, თუ რა სარისხობისა ასუ რა გვარს ქანებობასა გვიჩვენებენ.

ა) ნაკვეთითა 4x—იანი წარმოუბული სიტყვა გვიჩვენებს შემთხვევით ქანებლობას იმ საგნისას, რომელიც აღნიშვნელია მიღმია მოქმედების სიტყვაში, მაგრამ ქანებასა მცირე სარის სით, არა შდიდრად ანუ ხარისხ-დაუდებელად, განუსაზღვრელად რაოდენობისა, მაგ. ფვინო წელიანი (თუ ღვინოს ცოტა წყალი ურევია) და წყალი ღვინ-იანი—თუ წყალს ცოტა ღვინი ურევია. ამ სასითვე: ერთო-იანი, ტალახ-იანი, მტვრ-იანი, შარილ-იანი, სისხლ-იანი, პალახ-იანი, ქვიშიანი, ნავ-თიანი და სხ. ხშირად ეს ნაკვეთი გვიჩვენებს მხოლოდ ქონებასა და არა შეტევნისა ანუ შეზაგებას ხარისხ-დაუდებელად, მაგ. სახლ-კარ-იანი, სვანიდის-იანი, სვ-იანი, ფულ-იანი, ჭირ-იანი, წვერ-იანი, ღვ-თ-იანი—ვისაც აქვს სახლ-კარი, სვინიდასი, წვერი და სხ. ლალატ-იანი—მოლალატე: „გგმობ კაცია ლალატიასნა“ (შ. რ.). ეგრეთვე აღნიშნავს რაოდენობას ფულისას: სამ-აბაზ-იანი, შაურ-იანი, სამ-მანეთ-იანი. მწერლობაში აღინიშნება უმთავრესი გმირი მოთხოვობისა: ყარაბან-იანი, ხეჭან-იანი, როსტომ-იანი, თამარ-იანი, დავით-იანი, ილ-სებ-და-ზილხან-იანი. და სხ.—მრთელის გვარეულობისა ანუ მისთა მწერთა აღსანიშნავდნა ქსენ ნაკვეთი ისმარება, ხშირად შეცდებულ უქანონების მიზანით და სხ.

ნოდ „ასი“-დ, მაგ. ბართიანი (ანუ ბარეთ-ასი), ზურაბ ციციანი (ციც-ასი), დავით მესხ-იანი ანუ მესხი-ასით დავითი, გიცი-ასით ზურაბი და სხ. აგრეთვე: აბაშიძიანთ(ა) ოჯახი, შარქაშიძეანთ დატ. ბაზობა, ფავლენიანთ მამული და სხ.

შეინად იტუკიან: პეტრე-სი-ანი, ე. ი. პეტრეს შთამომავლობა, აბრამ-ის-იანი, აბრამისგან შთამომავალი. ამ სახითვე: აბამ-იანი, დავითიან-სოლომონ-ბაგრატიანი და სხ.

б) ნაგეოთი «ხ-ობანი» აღნიშნავს ბევრისა ანუ მდოდრად ქონებასა იმასას, რაცა ისატება ძირეულ სიტუაცია, მაგ. ჭკეუანა წყლ-ობანი-სადაც ბევრი წყლებია, მდიდარია მდანალუბათ, წყაროებით და სხ. წყლ-ობანი-გისაც მრავალი წელი აქვს, ბევრი უცხოვერია; მინდორი უგვილ-ოვანი=ბევრ უგვილებით მორთული; მუხლ-ვანი, ვენახ-ოვანი, მაყვლ-ოვანი, კლდ-ოვანი, ოჯახ-ოვანი, მინდვრ-ოვანი, მარილ-ოვანი, ციხ-ოვანი=სადაც უხვად მოიპოვება: მუხა, ვენახი, მაყვალი, მარილი, კლდები, ციხები. ამ ჭარითვე იხსარება: სუნელ-ოვანი=რასაც მეტად სასიამოვნო სუნი უდის, ჭარავ-ოვანი=სრულს ჭარავში მოსული, ფურცლ-ოვანი=ბევრი ფურცლები რასაც ასხია, ჩლდილ-ოვანი=კარგის ჩრდილის მექონე, ჭაროვანი (მეტად მშვენიერი); აგრეთვე სულ-ოვანი, გულ-ოვანი=დიდისა სულის და გულის პატრონი. ესრეთვე: ფერ-ოვანი, ხმ-ოვანი, სახელ-ოვანი, მამრ-ოვანი=კარგის ფერის, დიდის ხმის, სახელის, მამრობის (ანუ ვაჟაც-ობის) მექონე და სხ. უხმარნიათ ეგრეთვე: დიდრ-ოვანი, ნამეტოვანი, ნაკლულ-ოვანი (შეცვლილი: «ნაკლულ-ევანი»), აკოვანი, მხცოვანი=მოხუცი, ხე-ოვანი (მაგირ „ხე-ოვანი“, სა) და სხ.

ც) ნაგეოთ «ხ-ოსანი», წოდებული «სიმბოლო ურად», აღნიშნავს ქონებას შემთხვეთის რაციამე და არა ასებითის კითარებისა ანუ, უკეთ კსოვეათ, ძირში მოყოლეობ სიტუაციის მნიშვნელობაში უჩვენებს მხოლოდ ერთს შემთხვევითს გარეგანსა, გარსა. საჭარა გულერულ ულოსა შანს, რომლითაც ამ ნაგეოთ განმარტებული საგანი გარეგნად განირჩება სსვათაგან. რჩდგან აღებული სიშანი მუდამ შემთხვეთია, გარეგანი და არა გათანს არსებითს თვისებას საგნისას. არ გვიჩვენებს, ამისგამო მსოფლე სიმბოლო ურად ამნი შეცელობით შეიჭმნება იგი საქართველოდ, მაგ.

ქუდ ၆၂၁၀=კინც ატარებს ქუდსა, ე. ა. სიმბოლოურად მრთელი მამა-კაცობა (ქუდი არის გრეგორი შემთხვევითი, გარნა საქართველოს ნიშანი მამა-კაცობისა; მანდილ-ოსანი=კინც ატარებს მანდილს, ე. ი. სიმბოლოურად მრთელი დედაკაცობა, ორმელიც ამა გარება ნითა ნიშნეულობით (მანდილით) მამაკაცობისაგან განიღება; წერ-ოსანი=წერის მექონი; სიმბოლოურად მამაკაცობა ანუ კაუკაცობა, ოდგან წერი და ქუდი სიმბოლოა მსხვეობისა, გამბედაობისა, მამაცობისა (წეროსანებად სიმბოლოურადვე იწოდებიან აგრეთვე სამღვდელონი); თუ ერთს კაცზე იტყვიან და იდის წერის ქონებას აღნიშნავს, ორმლითაც იგი სისვებისაგან განიღება; ოქ-ოსანი=ოქის მექონი შირუტებობაა; თუ ერთს ორმელსამე ჰირუტებზე იტყვიან, აღნიშნავს და იდის ოქების ქონებას, ორმლითა ნიშნიშნით იგი გამოიცნობება ტოლებში; მშვილდ-ოსანი, თოფ-ოსანი, შებ-ოსანი=კისაც (მაგალითის კართა) უმთავრეს იარაღად აქვს მშვილდით თოფი, შები; თუ ერთ კაცზე ითქმის: აღნიშნავს განსაკუთრებითი წარჩინებულობას მშვილდ-ისრის, თოფ-შების სმარებაში. ეგრეთვე ცხენ-ოსანი=ჯარია ცხენებზე აღმხედვებული; თუ ერთს კაცზეა ნათქვამი, აღნიშნავს წარჩინებულობას ცხენის სმარებაში. გვირგვინოსანი, შორთირ-ოსანი, ჯიღ-ოსანი=სიმბოლოურად აღნიშნებინ მეტყველებს ანუ დიდებულებს, ორმელნაც ჭრილობ, შორთირითა და გვირგვინითა სისვებში გამოირჩევის. «ვეფრვის ტყა-ოსანი»=გმირი ვეფრვის ტყავით შემოსილი (სიმბოლო); ჯონ-ოსანი=ჯონით შეიარაღებული მოხელე; ურ-ოსანი=დიდ-ურიანი (სიმბოლოურად ვირი ანუ უგუნძრი), ჯვარ-ოსანი=ჯარი ჯვრებით აღნიშნელი, ჩოხ-ოსანი=ჩოხის მატარებელი; შა(ვ)-ოსანი, თეთრ-ოსანი=შავად (მაგ. ბერი) ანუ თეთრად შემოსილი; ხ-ო-ოსანი=ხმის ანუ სიტყვის თქმის ნების შექმნიდაწესებულებაში; კალმ-ოსანი=მწერლებია; ფრთხ-ოსანი=მფრინველობა, ნაოსანი, თმ-ოსანი, ცხვირ-ოსანი, ხელ-ოსანი (ხელის შექმნე), ე. ი. ხელოვნობის მცოდნე, ფაოსანი (სიმბოლო უფროსობისა), და სხ.

ამ ნაკვეთთ ნაწარმოები სიტყვები უფრო სშირად ისმარება არსებითი სასელად.

d) ნაკვეთი: *x-იმრი ანუ «x-იყლი»* (თუ ძირულის სიტყვაში ხმარებულია ასო «რ») ადნი შნავს (წინააღმდეგ ნაკვეთებისა «დანი» და «ოსანი») სამარადისო და არსებითი სათვა.

სების ქონებას, ანუ რომელ სამე მკვიდრს ნიშანს ჰითის ანუ ნიგთისას, მაგ. სიტყვი-იმრი, ხორცი-იელი, სულ-იერი, ნაყოფ-იერი, ნებ-იერი, მეხს-იერი, ზომ-იერი. წეს-იერი, მეცნ-იერი, მცბ-იერი, გულისხ-მიერი, ბედნ-იერი, გონ-იერი, გემ-რ-იელი, გრძნიბ-იერი, მაღლ-იერი, ცალ-იერი (ცარ-იელი), სახ-იერი, შშვენ-იერი=ვისაც ანუ რასაც სამარადისოდ და არა შემთხვევით აქვს მოხსენებული უშინაგანესნი და მეციდრის თაჯსებანი: სიტყვა, სული, ნაყოფიერობა, სსოფნა და სხ. ამ სახითვე იწარმოება სიტყვები: ლმობ-იერი, მანკ-იერი, გან-იერი, წად-იერი, კანონ-იერი, ღონ-იერი, ხნ-იერი (ხანი), წლ-იერი (მექონე ერთის წლისა), ღღ-აერი, კად-ნ-იერი (კადრ-იელი), შორ-იელი, მში-ერი, წყურ(ვ)იელი, უამიერი, თვალ-იერი (აქითგან: დათვალიერება).

შემდეგს შემთხვევაში ეს ნაკვეთი პლიშნევს წარმომდინაოეთ, ბითობას, მაგ. ქვეყნ-იერი, ზეც-იერი, მიწ-იერი, აღამ-იერი, იმ-იერი.

§ 53. ვ) ზმნის-ზედითის, მოქმედებითის და მიცემითის ბრუნვთაგან იწარმოებან ზედ შესრულები სიტყვას, სხვა-და-სხვა მნიშვნელობისა მექონნი და აგრეთვე მრავლობითისაგან სახელობითდ ბრუნვიდის.

ა) ზმნის-ზედითის ბრუნვის საბოლოოს «ად-ს და იშვიათად ედ-ს» მიემატება ხმოვანი «ი», რომელიც არსებითი სახელს შეცვლის ზედ შესრულებდ, და აღნიშნავს სამარადი სიც და უხვა ქონებ-სა, მაგ. პური - პურად = პურ-ადი (სტუმრის მოყვარე); გული- გულად = გულა-დი (დიდის გულის ასუ გამბედაობის მექონე. აგრეთვე: ტან-ადი = კარგის ჭახაკოვანობის მექონე, თვალად-ი = კარგი შესარედი. რაც-ადი = თავის ანუ ჭეკის მექონე, პატრონი; ფერ-ი - ფერად = ფერადი; პირადი, სულ-ადი, ძალ-ადი (ძალის მექონე, ძლიერი), ზოგა-დი, ყოვლა-ადი, მუცლა-დი. მაგრამ ფერად-ფერადი = ყოველი ფერი, კაცად-კაცადი = ყოველი კაცი, დღითი-დღედი = ყოველ დღიური. წარმოებული სიტყვებიც სელასლა იწარმოება ამ ნაკვეთით, მაგ. გულ-ით-ად-ი, ძირ-ით-ად-ი, ძალ-ად-ობ-ი- თ-ად-ი, ქვევ-ით-ადი.

უენიშნვა. ეს ნაკვეთი, როგორც მოვიხსენიეთ, (§ 46, 2, პ), ზმნებაც მიემატება და აქცვეს მათ ზედ შესრულად მიმღეობითად აწყობს ანუ სამარადისობს დრომესად; მაგ. ცვალება = ცვალებ-ად-ი, რაც იცვლება ანუ შედამ ცვალებაშია; აგრეთვე: ძიებადი = რაც ძიებაშია, შობ-ადი, წარსვლა-ადი,

ხსნ-ადი, ქმნადი, ხრწნ-ადი, მყობ-ადი, რწყვ-ადი, ვთებ-ადი; რყევ-ადი, ჭამ-ადი, ხვმ-ი-ადი ანუ ხმ-იადი (ხვმევა), წვ-ადი, სგმ-ადი, ფშხვნ-ადი და სხ.

ამ ნაკვეთისაფრთხ განირჩება ნაკვეთი და მსგავს სებითი: «*x-ედი*», რომელიც ადრი შნავს ვითარებასა და მსგავსი ითსა, მაგ. კარგ-ედი = კარგის მსგავსი. ჯვარ-ედი = ანუ ჯვარ-ედი = ჯვარის მსგავსი, ეგრეთვე: კუთხ-ედი, ქორ-ედი, - ყერედი, ფრთ-ედი (ფრთა სახლისა, ფლიგელი). ხშირად ქონებასა აღნიშნი შნავს, მაგ. ორ-მუხლ-ედი (ორმუხლიანი), სამ-ჟუტე-დი (სამჟუტს-იანი), ხელ-მოყლედი (ხელმოყლიანი); ფიცრ-ედი; გულმა-გრ-ედი (მაგრის გულის მექნე); რამდენსამე მიმღებასაც ეს ნაკვეთი მის-დევს: მოქმ-ედი, მოც-ედი (მოცემელი) ანუ მოცმედი, არ-მოც-ედი; მორბ-ედი და სხ. (§ 46, 3)

б) მოთხოვთ ბრუნვის სახოლოლისაც («ით-ი») მიემატება აგრეთვე ასო „ი“ და აქცევს საცტეპას ყედ შესრულებდ, რომელიც აღნი შნავს ვითარებასა წარმომდინარეს ძირეულის სიტუაცისაგან; მაგ, სიტუა-ცია = სიტუაცისაგან წარმომდგარი ვითარება, საქმ-ით-ი, უმეცრე-პ-ით-ი, ღამ-ით-ი, დღ-ითი, დღეობ-ითი, ნებ-ს-ით-ი (ე. ი. ნებ-ით-ი), უნებ-ლი-ე-ო (და არა უნებ-ითი), თუობ-ით-ი, არსებ-ით-ი, ფუფუნებ-ით-ი, გარემოებით-ი, გონებ-ით-ი, კაცობრიობ-ით-ი, მართლ-მადიდებლობ-ით-ი, რაო-დენობ-ით-ი, უკეთურობ-ით-ი, ქცევითი და სხ. დღ-ითი-დღე, წლი-თი-წლობ-ითი, უამითი-უამად, წამ-უწესობ-ითი და სხ. ამ-ნაირად, ყველა ცვალებადი სიტუაცის ნაწილები მიიღებენ ამ ნაკვეთს და წარმოებულნიც კი ხე-ლაპლა იწარმოებიან, მაგ. თავ-იან-ობით-ი, გულ-ოვ-ნობ-ით-ი, ბედ-ნ-იერ-ებ-ით-ი, თა(ვ)ოსნ-ობ-ითი, გულ-ით-აღ-ობ-ით-ი და სხ. უცვალებადის სიტუაცისაც კი მიემატება „ი“, მაგ. აქა-აქ-ით-ა-ქით-ი; აგრეთვე: იქ-იქ-ით-ი, ზე-ზე(ვ)-ით-ი, ქვე(ვ)-ით-ი, შიგ-შიგ-ნ-ით-ი, გარ-ე-გარეთ-ი, გარეშ-ე-გარეშ-ეთ-ი და სხ.

ც) ნათესაობითს ბრუნვასაც მიემატება იგრეთვე ასო „ი“ და აქცევს წარმოებულის სიტუაცის სახელობითად (§ 46; 5), მაგ. დია-საკლ-ის-ა-დღა-ცაკლ-ის-ი; ეგრეთვე: მამასახლ-ისი, სამ-თავ-ის-ი, შუალ-ლი-ს-ი, ღამ-ის-ი, ექვსთა-დღეთას-ი და სხ.

მაგრამ უფრო სტილურ მიემატება ეს ნაკვეთი იმავ მნაშნელო-ბით ნათესაობითსავე ბრუნვას, დაბოლოებულის თანდებულითა „გან“ მაგ. ერ-ისაგ-ან-ერისაგან-ი, კაცისაგან-კაცისაგან-ი; კაცთაგან = კაც-თაგან-ი ჩს სახითვე: მოწაფე-თა-გან-ი, ფრთოვან-თ-ა-გან-ი, ქვეყნისა-გან-ი,

მხედართა-გან-ი, ჯარისა-გან-ი, ჩვენთა-გა-ნი; ასთა-გან-ი, შავთა-გან-ი, უცეცრებისა-გან-ი, და სხ.

შენიშვნა. სახელობითი სამწიგნობრო ბრუნვა მრავლობითის რიც-
სვისა „ნი“ ზოგიერთს სიტყვაში გარდა ქცეულა ბუნებითი საბოლოოდ, ე. უ-
სახელად საგნისა მხოლობითისა, მაგ. უამ-ნი (წიგნი), დავით-ნი, მარხვა-
ნი, ლოცვა-ნი, წმიდა-ნი და სხ.

ს 54. გარდა მოხსენებულ შემთხვევათა პრი „ი“ («x—o»).
არა იშვიათ მიემატება სხვა-სიტყვის ნაწილებსაც, რომელნიც ბუ-
ნებით არ არიან დაბოლოებულნი ამ სტრუქტორთა, და აქცევს ძირულს
სიტყვას ზედშესრულად - მავითარებელად, მაგ. ღღე-ღა-ღამ-ი = ღღე-ღა-
ღამ-ი ფიქრი ჩემია (შ. რ.); საჭ-მე=საჭ-მი, უქმ-ე=უქმ-ი, უსაჭ-მი, მცი-
რე=მცირ-ი, მეტ-ნაკლ-ე=მეტ-ნაკლ-ი, დილ-დილა=დილ-დილი, (მაგ.
დილ-დილი ლოცვა). ბათესათბითის ბრუნვის საბოლოოსაც მიემა-
ტება იშვიათად „ი“, მაგ. მერმ-ისა=მერმ-ის-ი, დლ-ის-ა=დლის-ი, მამა-
სახლისა=მამა-სახლის-ი, დედასახლისა=დიასახლისი და სხ. ზმნათაგანაც
იწარმოება: მრწამს=მრწამს-ი, იქცევის=იქცევის-ი, (მაგ. «მახვილი იქცე-
ვის-ი»), გიხაროდენ=გიხაროდენ-ი, ლირს=ლირისი, ხამს (ანუ ჯერარს)=
ხამისი (უხამს-ი), ეგების=ეგების-ი, მგავს=მ-გავს-ი, თავხედვა=თავხედ-ი,
რაგინდა=რაგინდ-ი (რაგანდი საჩუქარი; რაგინდ-საჩუქარი), თა(ვ)ობა=
თა(ვ)ობ-ი, გზობა=გზობ-ი, თუობა=თუობი, ერთობა=ერთობ-ი. ეგ რეოვე;
კარვობ-ი, შმობ-ი, ახლობ-ი, სახლობ-ი, მზეობ-ი, ამგზოისობ-ი, სახვაობ-ი,
ზვაობ-ი, ავე-ნობ-ი, არსობ-ი; ენა-მზეობ-ი და სხ. უფრო ხშირად უცვალებადს
სიტყვის ნაწილების მაემატება, მაგ. აქამდის=აქამდის-ი («სამსახური აქამდი-
ს-ი» შ. რ. 773), დღემს იქით=დღემს იქით-ი, ზედი-ზედ=ზედი-ზედ-ი;
შიგან=შიგან-ი, დღენ=ოდენ-ი, ხან-და-ხან=ზანდაზან-ი ანუ ხანდის-ხანი,
(ხან-და-ხან-ი ნადირობა). წამ-და-უწუმ=წამ-და-უწუმ-ი, ამ-უამ=ამ-უამ-ი, (ამ
უამი მისი მოსლვა), ლვოისმიერ=ლვოის-მიერ-ი, ჟყის=ჟყის-ი, ჟვეშ=ჟვეშ-ი.
ამ გვარადვე: ზოგად-ი, თან-და-თან-ი, ხგალ-ი, ზეგ-ი, გამოის-ი, მარადი-ი,
მარადის-ი, ერთობამ-ი, ვიშ-ი, ჩემოდენ-ი; ძიბ-ძიბ! = ძიბ-ძიბ-ი, ჩიფ-ჩიფ! =
ჩიფ-ჩიფ-ი, ახ! = ახ-ი, ვახ! = ვახ-ი, ვიშ! = ვიშ-ი, დიალ=დიალ-ი (დიალ-ი
მითხრა)=ვაგლახ! = ვაგლახ-, მიმართ=მიმართ-ი, დასტურ=დასტური,
აროდეს=აროდეს-ი და სხ. უცვალებადის სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვები
ხშირად არსებობითადაც იხმარება.

არა აშვიათად თუ ი“-თა დაბოლოებულნი არსებითნიც როგორი
შეუცვლელად საბოლოოსა იქმარებიან ზედ შესრულად, მაგ. ხელ-და-ხელ-ი

(საქმე), პირ-და-პირი (კაცი), ხმალ-და-ხმალი (ბრძოლა), თვალ-და-თვალი და სხ.

§ 55. ლ) სიტუაცის განორგევებით წარმოსიდგება ასალი ოთუ-
ლი სიტუაცია, რომელიც: აღნიშნავს: ანუ a) განეოფილებით ს მრავ-
ლობას, მაგ. დიღ-დიღი (დიღები), ცხელ-ცხელი, ტოლ-ტოლი (ტოლე-
ბი), სწორ-სწორი, გრძელ-გრძელი (გრძელები), სხვა-და-სხვა (სხვები),
მწკრივ-მწკრივი, ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, ცალ-ცალი, რამე-რამე, ნა-
ბიჭ-ნაბიჭი და სხ.; b) ანუ წყობასა: ორ-ორი, ცალ-ცალები, თვალ-თვა-
ლი, თითო-თითო, რიგ-რიგი, გუნდ-გუნდი, წყვილ-წყვილი (გარნა ერთ-
ერთი=ერთი რამდენთაგანი); c) ანუ მარადი ს ღაბასა: დღე-დღე
=ყოველ დღე, წამ-წამი ანუ წამ-და-უწუმ=ყოველ წამს; ღამ-ღამე=ყოველ
ღამე, ღილ-ღილა; d) ანუ განდიდებასა ვითარებისას, გამო-
ხატულს განმეორებულის სიტუაციითა: სქელ-სქელი კაცი=ძალიან სქე-
ლი; მაღალმაღალი=მეტად მაღალი და სრ.—პირებულს შესართებულ
სიტუაცისა უკანასკნელი ხმოვანი „და მოუმარცება.

ხშირად სიტუაცია შეერთდებან კავშირითა „და“ და იქმარე-
ბან ზედშესრულად, მაგ. სხვა-და-სხვა, ხელ-და-ხელი, გან-და-განი,
გულ-და-გული, ხან-და-ხანი, პირ-და-პირი, წამ-და-უწუმი, ზე-და-ზედი, (ახ-
ლო-მახლო) და სხ.

ულები შეერთებული სიტუაცია ზმნის-ზედითის ბრუნვით ნახმარი
ხშირად სრულიად მოიგებეც ზმნის-ზედითურს საბოლოოს („და-ს“),
მაგ. პირად-პირად, ე. ი. პირ-და-პირად (თქმა) ანუ: პირ-და-პირ (თქმა),
აგრეთვე: ხან(ად)-და-ხან (და არა: ხანად=და-ხანად), ცხენ-და-ცხენ(და არა:
ცხენად-და-ცხენად), თვალ-და-თვალ(ად), გან-და-გან(ად), გულ-და-გულ(ად).

საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტუაციიც შეერთდება, მაგ.
შორი-ახლო, აქა-იქ (ზედშესრული: აქა-იქ-ი), ზერე-ქვერე, მეტ-ნაკლე,
გალმა-გამოლმა, დიღ-პატარა, ჭო-და-არა, წარა-მარა, წინა-უკმი, წითელ-
უკორელ, შიგნი-გარე, ისრე-ასრე და სხ.

§ 56. ნაკვეთი: „x—ანდ-ელი“, „x—ანდ-ელი“, „x—დუ-
ლი“ მიემატება სიტუაციის დონების აღმნიშვნელების და აქცევს მათ
ზედშესრულად დროებითად, მაგ. ხვალ=ხვალ-ინდ-ელი, დღე=
გღლე-ინდელი ანუ დღე-განდელი, ეგრეთვე; წელან-დელი, შარშან-დელი, თამარ
ეფიტ-დრო-ინდელი, უან-დელი, წინან-დელი, ეხლ-ან-დელი და სხ. (§ 46.-)

III. რიცხვითნი სახელი განიერებიან შირველ-სახელ და წარმოებითად.

§ 57. რიცხვითნი სახელი განიერებიან შირველ-სახელ და
წარმოებითად.

ა.) შირველ-სახელი აჩვენებენ რაოდენობასა და განიერ-
ებიან: მარტინად, მაგ. ერთი, ლიკ, თომ, ლიკი, ერგასი (იხ.
§ 50), ასი, ლუწი, წყვილი და სს. და რთულად: ათ-ერთ-მეტი
(შემოვლებით: თ-ერთ-მეტი) ათ-ორ-მეტი (თ-ორ-მეტი), ათ-სამ-
მეტი (ცა-შეტი), ათ-ოთხ-მეტი (თ-ოთხ-მეტი), ათ-სუთ-მეტი
(თ-ხუთ-მეტი ანუ ხუთ-მეტი), ათ-ექვს-მეტი (თ-ექვს-მეტი), ათ-შვიდ-
მეტი (შვიდ-მეტი), ათ-ცხრა-მეტი (ცხრა-მეტი), ლიკ-და-ათი, ლიკ-მეტ-
ოცი (ლიკ-მ-ოცი), სამ-მე-ოცი ანუ სამეოცი (სამ-ოცი), ოთხ-მეტ-
ი (ოთხ-მ-ოცი); ოთხ-მე-ოც-და-ცხრა-მეტი (ოთხ-მ-ოც-და-ცხრა-მეტი)
და სს.

შენიშვნა: სჩანს, ქართული თვლა უფრო ლიტერარულია, ვინემ ათეული.

§ 58. ბ.) წარმოებითნი რიცხვითნი სიტყვანი იწარმოებიან
ჩვეულებისამებრ ნათესაობითის ბრუნვის ძირისაგან ნაეპეტებითა:

აა.) მე—x—ე, რომელიც გარდააჭცევს ძირში მოუღლილს
რიცხვითს სიტყვას რიგობითად ანუ წესობითად, მაგ. ლიკი
=მე-ლიკ-ე, ათი — მე-ათ-ე, აგრეთვე: მე-ათერთმეტ-ე ანუ მე-თერთ-
მეტ-ე, მე-ცხრამეტ-ე, მე-ერგას-ე, მე-ას-ე, მე-ხუთ-ას-ე, მე-ათ-ას-ე და სს.
«მე-ერთ-ე» არ იხმარება და მის მაგიერ ითქმის «შირველი», რთულს
სიტყვებში ოცეულითგან დაწყებულებში, კარდა ასეულთაგან შედ-
გენილებისა, მოსსენებული ნაკვეთი მიემატება მსოფლიდ უკანასკნელს
სიტყვას, მაგ. ოცდა მე-ორ-ე, და არა „მე-ოცდა-ორ-ე“-ორმოცდა მე-ათერ-
თმეტ-ე, ას-სამოცდა-მე-ჩვილმეტ-ე, ათას-რვას-ოთხმოცდა-მე-რვე და სხვ.

ბბ.) ნაკვეთა: «x-მული» ჭურვს ძირეულს რიცხვითს სიტ-
ყვას განუენებითად ანუ აღნიშნების ერთა ას ძას მრავლისს, გან-

ერთებას, შეკრნებას, მაგ. ათი=ათე-ული, მაგ. ერთი ათეული, ორი ათეული (20) და სხვ. ერთეოვე: ხუთ-ეული, ას-ეული, ათასეული, ერთე-ული (ე. ი. ერთი განექნებითად). — ეს ნაკვეთი აჩვენებს აგ-რეთვე საწყავ ჭურჭელისა ანუ იარაღის ზომასა. მაგ. სამე-ული=ჭურჭელი ორმეტიც შეიცავს სამს ერთეულს ორმლისამე მიღებულის ზომისას (საპალნე, კოკა, კასრი, თუნგი). სასაჩებაში ეს ნაკვეთი ხასმაჲია აგრეთვე გამოსასატავად აღსადგინებითის რიცხვისა, მაგ. «და მოსცა ნაუაფი ღც-და-ათეული, სამოცეული და ასეული», ე. ი. უოგელი ერთეული იქცაო ღც-და-ათეულად, სამოცეულად და ასეულად.

გ) ნაკვეთი: მ-*x*-ელი; წოდებული განაწილებითად, უჩვენებს ორმეტისამე ნაწილსა, მრთელისას, მაგ. მე-სამ-ელი, მე-ათ-ელი, მე-ათცხრამეტ-ელი, მე-ას-ელი, მე-ათას-ელი. როგორც სიტყვებში ნაკ-ვეთი მიერთება შეაღოდ უკანასკნელს სიტყვას, მაგ. ღც-და-მე-ხუთ-ე-დი, ორას-ორმეოც-და-მე-ათორმეტ-ელი და სხ. «მეორედი»-ს მაგირ იტყვან: «ნახევარი» (სეჭა, ნახევი, ნასევ-არი) და «მეორსედია-ს მაგირ — «ჩარექი». $\frac{2}{3}$ =ორი მესამედი; $\frac{7}{10}$ =შვიდი მეათედი და სს.

ამავ ჭაზრის (ე. ი. განაწილების) გამოსასატავად იხმარება ნაკვეთიცა: ნე-*x*-ალი. მაგ. ნე-ათ-ალი, ნა-ასა-ლი, სამი ნარა-ალი= $\frac{3}{10}$, ნ-ოთხ-ალი; სამი ნა-ოთხ-ალი ანუ სამი ჩარექი= $\frac{3}{4}$. «ერთი მეათედი»-ს ანუ «ნაათალი»-ს მაგირ იხმარება: ათი ს-თა გვი, ას ი ს-თა გვი, ოცის-თავი და სხ.

დ). გამოსასატავად დაასწლოვებისა რიცხვისა მიუმატებთ ბოლოს თანდებულთა: «ღცდენ», ორმეტიც მიერთება ნათე-საბითად ბოლევილსა და ფონეტიკურად იცვლება: ოდე, ოდ, მდენი, მტენი, მთენი, მაგ. სამი-ოდ, ასოდენ (ასი-ოდე, ასი-ოდ), თხუთმეტიოდენ (ოდე, ოდ); რა-ოდენ (რა-მ-დენი, რამთენი, რამ-ტენი), ამ-ოდენ (ამ-დენი), იმ-ოდენ (იმ-ტენი).

გამავ ჭაზრის გამოსასატავად იხმარება აგრეთვე თანდებული «ძღვ», ორმეტიც მუდამ მიერთება ზმნის-ზედითად დაბრუნებული სიტყვას და ფონეტიკურად იცვლება: მდის, მდინ, მდი; მაგ. სუ-თი=სუ-თ-ად=სუ-თა-დ-ძღვ (სუ-მდი, სუთა-მდის, სუთამდინ, სუ-თა-მდისინ), ჭა-ად=ასად-ძღვ (ასა-მდი, ასა-მდის, ასამდინ), რვაას ღც-და-

ათად-მდე (ათა-მდი, ათა-მდის, ათა-მდინ) და სხ. ძელის მწერლობაში ამ გვარადაც გამოჭიატავდეს იმავ ჭაზრსა: «იურ კაცი კითარ ხუთ ათას» ეხლანდელ მწერლობაში: თთო-ოროლა, (ე. ი. დაახლოვებით).

ე) თუ გვინდა ერთობით განუყოფელად აღება რიცხვისა, მიუმატესთ თანდებულესა: «კე», მაგ. ორი-ვე, ათი-ვე ასო-ვე. აგრეთვე ერთიამად, ერთია-შად.

ვ) წინააღმდეგ, თუ გუნდისაგან ანუ საზოგადო რიცხვისაგან გამოვყოფთ ერთს ანუ რამდენსამე რიცხვსა ანუ საგანს, მაშინ კემარობით ნაკვეთს *x*—მანი, რომელიც მიუმატება ნათესარბითად ბრუნვილს სიტყვასა, მაგ. ერთი ათორმეტია-განი, შვილთა-განი, სახლისაგანი, მეფისა-განი და სხ. მაგრამ „ერთი ორთაგანი“—ს მაგიერ ვიტყვით: ერთ-ერთი ანუ ერთ-და-ერთი.—დამცირებასა ანუ ცოტა თბა სა აღვნიშნავთ, როდე-საც ვიტყვით: ერთად-ერთი, ანუ ერთი-ღა, შვილი-ღა, ორმცი-ღა, ნახევარი-ღა.

ზ) წერბით სა ანუ გუნდ თბითს რიცხვსა ვაწარმოვებთ გან-შეორებით რიცხვითთა სიტყვათა ამ გვარად: ორ-ორი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი, დას-დასი, ტყუბ-ტყუბი, ნახევარ-ნახევარი, თითო ანუ თითო-თითო.

ესევე ჭაზრი გამოიხატება მოქმედებითის ბრუნვის საზოლოოთი («თუ»), მაგ. ათასობით, ასობით, ერთობით, ხუთ-თუმნობით გარდინად, ათა-სობით დაწყო (ე. ი. ათას-ათასად); ათი-ათასობით იულიტებოდა ჯარი ომში და სხ. აგრეთვე იტყვიან: ხუთ-თუმნობა-ზე მაძლევდა, აბაზობა-ზე გამირიგდა, მანეთობა-ზე მიანგარიშა (ე. ი. თითო აბაზად, ხუთ-ხუთი თუმნად) და სხ.

§ 57. ორი და მეტი რიცხვი შეეთანხმება წინადადების სხვა სიტყვებს ძელის ენაში მრვალობითად (წარმოქმულად ნაკვეთითა «ნი»), სოლო დაბიურს ენაში და თანა-მეტობებე მწერლობაში— მსოლოობითად, მაგ. ორ-ნი კაც-ნი აღვიდოდეს; ორთა კაცთა სოლებს; ორთა ათასთა ერეკლეს მყედრობათა წარიქვიეს ორმეოცინ პასნი სპარსთანი. დაბიურად კი იტყვიან: ორი მჩედარი, ათასი ზროჩა, სამოცი კუპა, ასი დარბაისელი. გათხა უსულო საფრის თეჭაშა ძელის ენა-შიც ხშირად რიცხვი შეეთანხმებენ საგანს მსოლოობითად; მაგ. «ხუთი კოდი შერი», «სუკდებურსა აქვს ლცდა ათი დღე»; ხოლო

სულიერ საკანთა თვლაში, თუ თუთ საგანი (ქსემდებარე) ორული ის ხმება, დაბრუნოს ესაშიც მრავლობითად დადგება რიცხვი: თონი მღერან; ხუთხი (იგულისსმება: წეტი) ისხდენ და შექცეოდენ (და არა: ლრა მღერის; ხუთი ისხდა და შექცეოდა).

V. ნაცვალი-სახელი.

§ 58. იმის მიხედვით, თუ ვათარის სახელის ნაცვალიდ ანუ მაგიერ ხმარებულინ არან, ნაცვალ სახელი იქმნებან:

ა) ჰიროვანი, რომელიც გამოიცნობების კითხვითა: „გინ?“ და არან სამი: 1) მე—ჩვენ; (დაბაურად: ჩვე); 2) შენ—ჩვენ (დაბირ. შე—ჩვე), 3) იგი ანუ ის; იგინი ანუ ისინი.

ჰიროვანთ ეკუთვნის; თუთ, — თუთ-მე, იუთ-შენ, თუთ-მან; თუთან თუთონ), გინ.

შენი შენი. ზმნებში ჰიროვან ნაცვალი-სახელთა მაგიერ იხმარება სხვა-და-სხვა ნაცვეთები; ჰიროველის ჰირის თუ ს: ბი გა, კე, კი, კუ; მ, მა, მე, მთ, მრავლობითად: გბი, გბა, გბი, გბა, გ-ჭრი(თ), გა-ჭრი(თ), კა-ჭრები(თ), კი-ჭრები(თ); მ-ჭრით; გუ-ჭრი, (და არა: უჭრი); აგრეთვე: მ-(მა+მე+მი+გბე+გბა+გბი+გბა) -ჭრი, ჭრით, ჭრის, ჭრიან. და სხ. (კრცლად ის. ზმნებში); მელო კა შრის სათუ ს: ჭ, (ანუ სა) ა, ე, ი, უ; გ, გა, გი, გე; მაგ- ს-ჭრი, ა-ჭრი, ე-ჭრები, ი-ჭრი, უ-ჭრი, გ-ჭრი, გა-ჭრი, კი-ჭრი, კე-ჭრები. მესამე-ჰირისათვის: ჭ (ანუ: ს), ა, ე, ი, უ.

როდესაც ეს ნაცვეთები დაერთვის ზმნებს, საჭირო არ არის ჰიროვან ნაცვალი-სახელთა დაწერა, თუ არ მეტად ლოგიკურად სა- უკრადებო-შემთხვევაში, მაგ. უნდა ითქმის: «პანლური მეწყინება» და არა: „პანლური მე მეწყინება“, ეგრეთებ წრინგსა გწერს და არა: «მე შენ წინსა გწერ», „დამინთე ცეცხლი“ და არა 『შენ მე დამინთე』 და სხ. ძელის საეკლესიო წიგნებში ჰიროვან ნაცვალი-სახელი მეტად ხშირად არან ნახმარნი, განსაკუთრებით დავითში, რომელ მეტად აუშმნობს ენასა. რა საკვირველია, ეს ნაცვლი დაბადა მისგამო, რომ სიტყვა-სიტყვა უთარენათ ჩვენს ძელებს უცხო. ენათაგან.

ბ) კუთვნილებითია, რომელსაც გამოიცნობებია კითხვათა: ვისი? რისი? და რწარმოებიან პიროვნების ნაცვალ-სახელთა ნაიერ-სამიზნის ბრუნვისაგან, მაგ. ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, ფევენი, მათი, იმისი, ამისი, იმათი, ამათი, მაცისი, მაგათი, თქმა, (აკისი), ვისი.

გ) ჩემი ებითია, რომელსაც ასახელებენ საკანასა, ასამედუთათებენ ანუ უბეჭნებენ მას. თუ საგანი ახლოა მაჩვენებელთან, მაშინ ატყვარან: ეგე, ეცე, ანუ: ეგ, ეც; საჯახში შემოვლებით ატყვარან: «ე»; მაგ. «მ ჩვენი მეფე ერეალე». აგრეთვე ასმარება: ა-ი, ა-ის, ა-ა-ეგ ძა, ა, ა-კა-ეს, ა-კა-ეგე, ა-კა-ეს-ე-რა, ა-კა-ეგ-ე-რა (უკანასნელნი ის-მარებიან როგორც შერჩესლებულნია). თუ საგანი შაშორებულა მოქმედისაგან: მაშინ უბეჭნებოთ ნაცვალსახელებითა: ისი, იგი, ის, იგ, მაგი, ანუ შემოვლებით ხალხურად: «ი», მაგ. ამ დაღუცვილი უფალია. ახმარება აგრეთვე: აი-ის, აი-იგი, ე-მაგ და სხ.

ნ: ცვალ-სახელნი: იგი, ის მწერლობაში იხმარებიან განერეველად როგორც პიროვნება და როგორც ჩემი ებითიანც. შედეს კულესიურს მწერლობაში კი პიროვნება თითქმას მუდაშ იხმარებოდა «აკი» და ჩემებითად — «ის». რუსთველის ირვა მსი შეცვლილით აქვს ნახმარი, მაგ. „ვინ მოყვასხა არ ეძებს, იგი აკისა მტკრია; იგი ჭაბუკი», იგი ჰუცხლი, იგი ქალი და სხ. (სამოვლეს ჩემი ებითია «იკი»).

დ) ჩვენ ებითია ნაცვალ-სახელთა მაქმატებათ ნაკვეთებია: აა) რე, რეზი, (რეთი); ბბ) ღდენი, ღ-ღებ, ღმნი, ღ-მნი, ღე ნი; ც-ცნი და ჟერავებ მათ შედარებითად, მაგ. აა) ეს-რე, ევ-რე, მაგ-რე, ს-რე, ი-მაგ-რე, ეს-რედ, ევ-რედ, აქითვან; ეს რე-ღ ი, ანუ ეს-რეთი, ის-რედ ი, ანუ: ას-რეთი. შემოვლებულად ითქმის; ეს რეთი, ს-რეთი, იგ-რეთი, ის-რეთი. ესენიც შემოვლდებიან: ის-ი, ას-მ, ეს-ს. ბბ.) ნაკვეთი «ღდენი» მიექმატება უძეტესად ნათესაობითად დაბრუნებულ ნაცვალსახელთ, მაგ. ჩემ-ის-ოდენი ანუ ჩემ-ოდენი, ამ-ის-ოდენი ანუ ამ-ოდენი, მაგ-ის-ოდენი ანუ მაგ-ოდენი და სხვ.

რამდენიმე სიტყვები მიაღებს და ნაკვეთს შეუცვლელად ბუნებითთა თუსთა დაბოლოებითა, მაგრამ უფრო ძველს მწერლობაში, მაგ. ეს-ეს-ოდენ (ამდენი), რა-რა-ოდენი, ეგ-ეგ-ოდენი. ნაკვე-

თი «ოდენი», იცელება ფლერტიკულად შემდეგ ნაირად: ოდენა, დენი, ტენი, თენი, ცონი; მაგ. ამოდენა, მაგ-დენი, იმ-თენი, ამ-ტენი, იმ-ტონი.

